# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## ბიუროს სხდომის

## ო ქ მ ი № 21

ქ. თელავი

„18“ ნოემბერი 2019 წ.

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**გიგა ორკოდაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი**, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი**, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე**, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი**, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;
მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.
2. მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვის ვადების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> 1. მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №34 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვის ვადების შესახებ.

**გ.ორკოდაშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიებმა და ფრაქციებმა დროულად უნდა მოახდინონ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, რათა არაუგვიანეს 25 ნოემბრისა დავუბრუნოთ პროექტი მერიას ჩვენი შენიშვნების და მოსაზრებების გასათვალისწინებლად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში განხილვის გრაფიკი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია (თავმჯდომარე ლ.კოჭლოშვილი) – **2019 წლის 19 ნოემბერს - 12.00 საათზე;**

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია(თავმჯდომარე დ.გოგოშვილი) **2019 წლის 20 ნოემბერს - 12.00სთ-ზე;**

3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია(თავმჯდომარე დ.ღაღანიძე) **2019 წლის 20 ნოემბერს - 14.00სთ-ზე;**

4. ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები" (თავმჯდომარე გ.ჩაბრაშვილი) **2019 წლის 20 ნოემბერს - 16.00სთ-ზე;**

5. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული- საქართველო“ (თავმჯდომარე ლ.ლილუაშვილი)- 2019 წლის 21 ნოემბერს - 13.00სთ-ზე;

6. სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ნ.ხვისტანი) 2019 წლის 21 ნოემბერს - 14.00სთ-ზე;

7. ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (თავმჯდომარე ა.თვალიაშვილი) - 2019 წლის 21 ნოემბერს - 15.00სთ-ზე;

8. ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“(თავმჯდომარე ტ. დარეჯანიშვილი) 2019 წლის 21 ნოემბერს - 17.00სთ-ზე;

9. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ა.შათირიშვილი) - 2019 წლის 22 ნოემბერს - 11.00სთ-ზე;

10. ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“(თავმჯდომარე ა.ჭულიაშვილი) 2019 წლის 22 ნოემბერს - 12.00სთ-ზე;

11. ფრაქცია „ ძლიერი სოფელი“ (თავმჯდომარე ა.კუპატაძე) 2019 წლის 22 ნოემბერს - 12.00სთ-ზე;

12. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“(თავმჯდომარემ.მარკოზაშვილი) 2019 წლის 22 ნოემბერს - 14.00სთ-ზე;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი